

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №64/ნ

2002 წლის 19 მარტი

ქ. თბილისი

ქვეყანაში სამედიცინო და პროფილაქტიკური სადეზინფექციო საქმიანობის სრულყოფის შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმირება-რეორიენტაციის პირობებში სამედიცინო სადეზინფექციო-სასტერილიზაციო და პროფილაქტიკური სადეზინფექციო (სადერატიზაციო, სადეზინსექციო) საქმიანობა მოითხოვს სამართლებრივი ბაზის სრულყოფას, ნორმატიული საქმიანობის საფუძველდამდები დოკუმენტების მსოფლიოში არსებული თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას და სხვადასხვა სადეზინფექციო საქმიანობით დაკავებული ლიცენზირებული სუბიექტების მუშაობის ხელშეწყობას. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 75 მუხლის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს:

- ა) სადეზინფექციო საქმიანობის ორგანიზაციული სქემა (დანართი 1);
- ბ) საბოლოო დეზინფექციას დაქვემდებარებული ინფექციური დაავადებების ნუსხა დაფინანსების წყაროს მიხედვით (დანართი 2);
- გ) მოთხოვნები სამედიცინო დაწესებულებებში დეზინფექციისა და სტერილიზაციის კონტროლისადმი (დანართი 3);
- დ) გასუფთავება, დეზინფექცია და სტერილიზაცია (მეთოდური რეკომენდაციები) (დანართი 4);
- ე) სასტერილიზაციო დანადგარების ან ქიმიური სტერილიზაციის მუშაობის აღრიცხვის ჟურნალის ნიმუში (დანართი 5);
- ვ) მოთხოვნები ბავშვთა და მოზარდთა აღმზრდელობით და სასწავლო დაწესებულებებში სადეზინფექციო ღონისძიებებისადმი (დანართი 6);
- ზ) მოთხოვნები ეპიდემიოლოგიური და სანიტარიული მნიშვნელობის მქონე ფეხსახსრიანებისა და მღრღნელების წინააღმდეგ ბრძოლისა და მათ რიცხოვნობაზე ზედამხედველობის ორგანიზაციისა და კონტროლის მიმართ (დანართი 7);
- თ) პროფილაქტიკურ სადეზინფექციო საშუალების ნომენკლატურა და ზომის ერთეულები, სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებათა ნუსხა (დანართი 8);
- ი) აუცილებელი მოთხოვნები სადერატიზაციო ლაბორატორიის აღჭურვისათვის (დანართი 9);
- კ) მოთხოვნები სადეზინფექციო და სადეზინსექციო საშუალებების ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის (დანართი 10);
- ლ) მოთხოვნები პირველადი დახმარების ავთიაქისადმი როდენტიციდულ საშუალებებთან მომუშავე პირთათვის (დანართი 11);
- მ) რეკომენდაციები სადეზინფექციო საქმეში სამედიცინო კადრების მომზადების შესახებ (დანართი 12);
- ნ) ნორმატიული მოთხოვნები სადეზინფექციო დანადგარების, სადეზინფექციო საშუალებების ხარჯვის, გამოუმუშავების ნორმების, მისატყუებლის ნორმების, დერატიზაციის, დეზინსექციის ხარისხის მაჩვენებლების შესახებ (დანართი №13, ცხრილი 1-29);
- ო) სამედიცინო და პროფილაქტიკური სადეზინფექციო საქმიანობის საანგარიშო და სააღრიცხვო ფორმები (დანართი №14, ცხრილი 1-8);
- პ) (ამოღებულია).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის

ბრძანება №275/6 - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 მარტის დადგენილება №126 - ვებგვერდი, 14.03.2017წ.

2. (ამოღებულია).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №275/6 - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009

3. სამედიცინო საქმიანობის სუბიექტის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინონ და უზრუნველყონ:

ა) სამედიცინო დეზინფექციაში, პროფილაქტიკურ დერატიზაციასა და დეზინსექციაში მხოლოდ იმ საშუალებების გამოყენება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის მიერ;

ბ) სამედიცინო დანიშნულების კრიტიკული ჯგუფის ნაკეთობათა სტერილიზაცია მხოლოდ სტანდარტული მეთოდებით;

სამედიცინო დანიშნულების ნახევრადკრიტიკული ჯგუფის ნაკეთობათა (ენდოსკოპების, ნარკოზული და ფილტვის სავენტილაციო სასუნთქი ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატურის) გასუფთავების და ასეპტიკის პირობებში მაღალი დონის დეზინფექციისათვის (მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით) შესაბამისი სათავსოების გამოყოფა;

სადეზინფექციო სამუშაო ხსნარების ცენტრალიზებულად დამზადება და მათთან მუშაობისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვა;

ე) პერსონალის მიერ ხელების დაბანის და ანტისეპტიკის წესების დაცვისათვის სათანადო პირობების შექმნა;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №275/6 - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009

3. სამედიცინო სადეზინფექციო სამუშაოების პრაქტიკული განხორციელება ამ ბრძანებით განსაზღვრული მოცულობით.

4. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტმა უზრუნველყოს სადეზინფექციო, სადეზინსექციო, სადერატიზაციო და სასტერილიზაციო (შემდგომ ტექსტში – სადეზინფექციო) საშუალებათა დადგენილი წესით რეგისტრაციისათვის: წარმოდგენილი დოკუმენტაციის ჰიგიენური შეფასება, დასკვნის გაცემა, გადაწყვეტილების მიღება რეგისტრაციის თაობაზე, რეესტრის მონაცემთა ბაზის წარმოება, სარეგისტრაციო მოწმობის გაცემა (დანართი 15-ის შესაბამისად), თანმხლები დოკუმენტაციის შენახვა-დაარქივება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №275/6 - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009

5. სადეზინფექციო საშუალების რეგისტრაციისათვის განმცხადებელი მიმართავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტს და წარადგენს:

ა) მიმწოდებლის/მწარმოებლის განცხადება-მიმართვას მისამართისა და სხვა რეკვიზიტების მითითებით;

ბ) ინფორმაციას სადეზინფექციო საშუალების გამოყენების სფეროს, წესებისა და პირობების შესახებ;

გ) მონაცემებს სადეზინფექციო საშუალების ნიშანდების, ეტიკეტირების, შეფუთვის, შენახვის ვადებისა და პირობების შესახებ;

დ) მონაცემებს სადეზინფექციო საშუალების მავნე ზემოქმედებისას პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის, პროფილაქტიკური ღონისძიებებისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების შესახებ;

ე) მონაცემებს სადეზინფექციო საშუალების შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებების

იდენტიფიკაციის შესახებ;

ვ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის“ დასკვნას საშუალების მადეზინფიცირებელი ეფექტის შესახებ;

ზ) იმპორტირებული პროდუქციის შემთხვევაში – მწარმოებელი ქვეყნის უფლებამოსილი ოფიციალური ორგანოს მიერ გაცემულ წარმოშობის, ხარისხისა და უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტებს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №275/ნ - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009

5¹. სადეზინფექციო საშუალების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია, თუ:

ა) განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საბუთები არ აკმაყოფილებს ამ ბრძანების მე-5 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და არ იქნა გამოსწორებული დადგენილ ვადაში;

ბ) სადეზინფექციო საშუალება შეიცავს შეზღუდულ და აკრძალულ ნივთიერებებს;

გ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის მიერ გაიცა უარყოფითი ჰიგიენური დასკვნა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №275/ნ - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009

5². რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი ვალდებულია წერილობით აცნობოს დასაბუთებული უარი განმცხადებელს 10 დღის ვადაში. გადაწყვეტილება უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №275/ნ - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009

5³. სადეზინფექციო საშუალების რეგისტრაცია და სარეგისტრაციო მოწმობის გაცემა უფასოა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №275/ნ - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009

5⁴. რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალების წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვის, გამოყენების, უტილიზაციისა და განადგურების შესახებ ახალი მონაცემების მიღების შემთხვევაში მწარმოებელი/მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს აღნიშნულის შესახებ რეგისტრაციის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოს რეესტრის მონაცემთა ბაზაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №275/ნ - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009

5⁵. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უფლებამოსილია გააუქმოს სადეზინფექციო საშუალების რეგისტრაცია მასში შემავალი ნივთიერების შეზღუდვის ან აკრძალვის შემთხვევაში, ხოლო ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მავნე ზემოქმედების შესახებ ახალი მონაცემების მიღებისას – განიხილოს რეგისტრაციის მიზანშეწონილობის საკითხი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №275/ნ - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009

5⁶. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №275/ნ - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009

6. ამოღებულია.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №275/ნ - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009

7. დაისვას საკითხი დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის წინაშე (პ. იმნაძე), დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და სტერილიზაციის სპეციალიზირებულ სამსახურთან ერთად (გ.ლიპარტელიანი), ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს:

ა) ბიოტერორიზმის რისკის გათვალისწინებით შეიმუშაოს სადეზინფექციო საქმეზე მომუშავე კადრების სათანადო გადამზადებისა და სპეცინვენტარით აღჭურვის სამუშაო გეგმა და წარმოადგინოს წინადადებები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინაშე სახელმწიფო დაფინანსებაში გათვალისწინების მიზნით;

ბ) საავადმყოფოსშიგა ინფექციების კონტროლის და სამედიცინო დეზინფექციის საქმიანობის სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფის განხორციელება;

გ) სამედიცინო და პროფილაქტიკური დეზინფექტოლოგიის დარგში მომუშავე კადრების გადამზადების, დეზინფექციის, სტერილიზაციის, დეზინსექციისა და დერატიზაციის უახლესი მონაცემების საფუძველზე სასწავლო პროგრამების შედგენისა და სწავლების ორგანიზება;

დ) სამედიცინო სადეზინფექციო და პროფილაქტიკურ სადეზინფექციო (სადერატიზაციო, სადეზინსექციო) საქმიანობის მეთოდურ-პრაქტიკული უზრუნველყოფა, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და სამართლებრივი ფორმისა;

ე) ეპიდაფეთქებათა ლიკვიდაციის საჭიროებისათვის ეპიდზედამხედველობის პროგრამის ფარგლებში სადეზინფექციო საშუალებების შეზღუდული მარაგის შექმნა;

ვ) დეზინფექტანტების აქტივობის განსაზღვრისათვის ლაბორატორიული ჯგუფის ჩამოყალიბება;

ზ) სამედიცინო და პროფილაქტიკური სადეზინფექციო საქმიანობის სუბიექტების ყოველწლიური საანგარიშო ფორმების მიღება-შეჯამება: სადეზინფექციო და სამედიცინო სტატისტიკის და ინფორმაციის ცენტრში, ანალიზი და შეჯამებული მასალის წარდგენა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში;

თ) სამედიცინო დეზინფექციის საქმიანობის მონიტორინგი და გამოვლინებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად პრაქტიკული დახმარების გაწევა;

ი) სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საქმიანობაში გამოსაყენებლად რეგისტრირებული (ნებადართული) ნივთიერებების ნუსხის პერიოდული შედგენა და გამოქვეყნება;

კ) ერთი თვის ვადაში კამერული დეზინფექციის (დაავადებათა ჩამონათვალის, კამერული დეზინფექციის დაქვემდებარებული ნივთებისა და ჯერადობის გათვალისწინებით) ჩატარების ინსტრუქციის მომზადება.

8. (ამოღებულია).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №275/6 - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009

9. (ამოღებულია).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №275/6 - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009

10. (ამოღებულია).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №275/6 - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009

11. ბათილად ჩაითვალოს „ქვეყანაში სადეზინფექციო საქმის დროებითი მოწყობისა და დეზინფექციის საქმიანობაში კონტროლის გაწევის შესახებ 1996 წ. 08.07-ის № 313/ო და „საქართველოში სადეზინფექციო, სადეზინსექციო, სადერატიზაციო საქმიანობის მოწესრიგების შესახებ“ 12.02.99 წ. №41/ო“ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებები.

12. (ამოღებულია).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №275/6 - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009

ა. გამყრელიძე

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №363/ნ - სსმIII, №2, 11.01.2005წ., მუხ.26
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 11 აპრილის ბრძანება №108/ნ - სსმIII, №52, 14.04.2006წ., მუხ.648
3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 17 მაისის ბრძანება №131/ნ - სსმIII, №69, 22.05.2006წ., მუხ.872
4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს ბრძანება №217/ნ - სსმIII, №105, 08.08.2006წ., მუხ.1437
5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №274/ნ - სსმIII, №144, 23.10.2006წ., მუხ.1991
6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №275/ნ - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009
7. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 მარტის დადგენილება №126 - ვებგვერდი, 14.03.2017წ.

დანართი №1

სადეზინფექციო საქმიანობის ორგანიზაციული სქემა

სადეზინფექციო საქმე				პროფილაქტიკური დეზინფექცია, დერატიზაცია და დეზინსექცია		
დონე	პროგრამა	შემსრულებელი	ფუნქცია	დამკვეთი	შემსრულებელი	ფუნქცია
IV	სახელმწიფო (ცენტრალური)	დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი; დეზინფექციის, დერატიზაციისა და სტერილიზაციის სპეციალიზირებული ეპიდზედამხედველობის ცენტრი	სამეცნიერო მუშაობა, მეთოდურ –პრაქტიკული დახმარება, ნორმატიული დოკუმენტაციის მომზადება, ეპიდაფეთქებებისათვის მარაგის შექმნა და მონაწილეობა ლიკვიდაციაში კადრების მომზადება დეზინფექცია დანართის მიხედვით	ქალაქების მერიები და მმართველობის	ლიცენზირებული სუბიექტები	პროფილაქტიკური დეზინფექცია,
III	ა/რ, სამხარეო, საქალაქო მუნიციპალური ჯანდაცვითი პროგრამები	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები	საბოლოო დეზინფექცია, მიმდინარე დეზინფექციაზე დახმარება, სადეზინფექციო საშუალებებით მომარაგების ხელშეწყობა. ეპიდაფეთქებების ლიკვიდაცია სამედიცინო დაწესებულებებში სადეზინფექციო-სასტერილიზაციო საქმიანობის მუშაობის მონიტორინგი	ადგილობრივი ორგანოები		დეზინსექცია დერატიზაცია ხელშეკრულებებით.

II	მუნიციპალური ჯანდაცვითი პროგრამები	საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ცენტრები	დისლოკაციის რაიონში კერებში საბოლოო დეზინფექციის უზრუნველყოფა, მიმდინარე დეზინფექციაზე დახმარება ეპიდაფეთქებების ლიკვიდაცია სამედიცინო დაწესებულებებში სადეზინფექციო- სასტერილიზაციო საქმიანობის მუშაობის მონიტორინგი	იურიდიული და ფიზიკური პირები		
I	სახელმწიფო, მუნიციპალური ჯანდაცვითი პროგრამები შიდა სტანდარტები	სამედიცინო საქმიანობის სუბიექტები	კონკურენტული და საბოლოო დეზინფექციის უზრუნველყოფა, ეპიდაფეთქებების ლიკვიდაცია			

დანართი №2

**საბოლოო დეზინფექციას დაკვემდებარებული ინფექციური დაავადებების ნუსხა
დაფინანსების წყაროს მიხედვით.**

	ინფექციური დაავადებები	ფინანსირების წყარო	შენიშვნა
I	II	III	IV
1	შავი ჭირი	ეპიდზედამხედველობის პროგრამა	დეზინსექციით, დერატოზაციით.
2	კონტაგიოზური ვირუსული ჰემორაგიული ცხელებები	ეპიდზედამხედველობის პროგრამა	დეზინსექციით, დერატოზაციით.
3	ქოლერა	ეპიდზედამხედველობის პროგრამა	
4	ეპიდემიური პარტახტიანი ტიფი (დეზინსექცია)	ეპიდზედამხედველობის პროგრამა	
5	ღცხელება (ფილტვის ფორმა) ორნითოზი	ეპიდზედამხედველობის პროგრამა	
6	მალარია (დეზინსექცია)	მალარიის პროგრამა	
7	პოლიომიელიტი, მუცლის ტიფი, პარტიფები	ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა	დეზინსექციით (ბუზების)
8	დიფთერია, ტუბერკულოზი ბკ+	საბიუჯეტო ორგანიზებულ ბავშვთა კოლექტივებში ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა. სხვა შემთხვევებში იურიდიული და ფიზიკური პირები	
9	დიარეული დაავადებები (შიგელოზი, სალმონელოზი, ნაწ. იერსინოზი, ენტეროვირუსული და სხვა დადგენილი თუ დაუდგენელი ეტიოლოგიისა), ჰეპატიტი A და E	საბიუჯეტო ორგანიზებულ ბავშვთა კოლექტივებში ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამით, სხვა შემთხვევებში იურიდიული და ფიზიკური პირები	
10	ჯილეხი	იურიდიული და ფიზიკური პირები ერთჯერადი განაცხადით	

11	თმების, კანის, ფრჩხილების სოკოვანი დაავადებები, ბლერი.	იურიდიული და ფიზიკური პირები ერთჯერადი განაცხადით	ბლერის დროს დეზინსექცია
12	ტულარემია (დეზინსექცია და დერატიზაცია)	იურიდიული და ფიზიკური პირები ერთჯერადი განაცხადით	

შენიშვნა: 1. დეზინფექცია კერებში სხვა ინფექციების დროს ტარდება ადგილობრივი ეპიდსაწინააღმდეგო ორგანიზაციის მითითებით ეპიდემიური სიტუაციიდან გამომდინარე.

2. დეზინფექციის დროს კამერული მეთოდის გამოყენების აუცილებლობას განსაზღვრავს ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ექიმი ეპიდემიოლოგი ან დეზინფექციონისტი.

დანართი №3

მოთხოვნები სამედიცინო დაწესებულებებში დეზინფექციისა და სტერილიზაციის კონტროლისადმი

1. სტერილიზაცია და დეზინფექცია ტარდება „საავადმყოფოსშიგა ზოგიერთი ინფექციის კონტროლის“ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის №76/ო 05.03.99წ. ბრძანებით მეთოდური მითითებების მოთხოვნათა შესაბამისად.

2. სადეზინფექციო საქმიანობაზე ყოველდღიურ შიდა კონტროლს ახორციელებს სამედიცინო დაწესებულების ექიმი-ეპიდემიოლოგი, ეპიდემიოლოგის თანაშემწე ან ინფექციური კონტროლის მედდა.

3. სამედიცინო დაწესებულებებში სადეზინფექციო და სასტერილიზაციო საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებენ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციები, საჭიროების შემთხვევაში (ეპიდჩვენების შემთხვევაში აუცილებლად) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის სპეციალისტების მოწვევით.

4. კონტროლი ხორციელდება:

ა) ინფექციურ და ქირურგიულ განყოფილებებში, სამშობიარო სახლებში (განყოფილებებში), ბავშვთა, სისხლის გადასხმის, ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში, დეზუკამერების ბლოკებში, ცენტრალიზებულ სასტერილიზაციოებში, დეზუხსნარების დამამზადებელ სათავსოებში, აფთიაქებში – წელიწადში ერთჯერ;

ბ) სხვა სამედიცინო დაწესებულებებში და ლაბორატორიებში – არანაკლებ 2 წელიწადში ერთჯერ.

5. კონტროლის დროს ობიექტზე არკვევენ სანიტარიულ მდგომარეობას, გაუსწავსებენ საშუალებათა და მეთოდების ადეკვატურობას, სარეცხი, სადეზინფექციო და სასტერილიზაციო დანადგარების გამართულობას, სადეზინფექციო საშუალებათა შენახვის პირობებს, მათი დამზადების და გამოყენების სისწორეს, გასტერილებული და დეზინფიცირებული მასალის შენახვის პირობებს და ვადებს.

6. დეზინფექციის პროცესის შესაფასებლად, საჭიროებისას, რეკომენდებულია:

ა) საწყისი დეზინფექტანტის, დედა და სხვა სამუშაო ხსნარების სინჯების აღება – არანაკლებ 5 სინჯისა (სხვადასხვა სახეობიდან) 100 საწოლზე;

ბ) რუტინული კონტროლისათვის ჩამონარეცხების აღება რეკომენდებული არ არის, მხოლოდ ეპიდჩვენების შემთხვევაში შესაძლებელია ჩამონარეცხების აღება – 0.5 ჩამონარეცხი 1 საწოლზე (საოპერაციო, შესახვევი, ინტენსიური თერაპია, რეანიმაცია, აფთიაქი);

გ) სადეზინფექციო კამერის მუშაობის ეფექტურობის შემოწმება სამ სიბრტყეში 9-15 ბაქტერიული (ქიმიური) ტესტის ჩადებით, დეზუკამერის მოცულობისა და ტიპის გათვალისწინებით (დანართი № 13, ცხრილი 1).

7. სტერილიზაციის და სამედიცინო დანიშნულების საგნების ასეპტიკური გამოყენების

კონტროლი ხორციელდება (დანართი №13, ცხრილი №2) შესაბამისად.

8. სტერილიზაციის წინა დამუშავებისა და სტერილიზაციისათვის (ქიმიური სტერილიზაცია), მაღალი და საშუალო დონის დეზინფექციისათვის საჭირო საშუალებების წლიური ხარჯი გაითვლება მოქმედი ინსტრუქციულ-მეთოდური დოკუმენტების, მწარმოებლის რეკომენდაციის, სამუშაოთა მოცულობის, აგრეთვე ცალკეული სამედიცინო დანიშნულების საგნების ან კომპლექტების რაოდენობის საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ საგანი მთლიანად უნდა მოთავსდეს ხსნარში და მან ყველა ღრმული უნდა შეავსოს (მაგალითად საშვილოსნოს ყელის გასასინჯი კომპლექტისათვის – 2.5 ლიტრი ხსნარისა, მშობიარობის მისაღები ერთი ანაკრებისათვის – 3 ლიტრი და ა.შ.).

9. სტერილიზაციის წინა დამუშავების (გასუფთავების) მაჩვენებელად შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

ა) სინჯის დაყენება ნარჩენ სისხლზე (მაგალითად აზოპირამის სინჯები);

ბ) სინჯის დაყენება სარეცხი საშუალების ტუტე კომპონენტების არსებობაზე (მაგალითად ფენოლფტალეინის სინჯი).

10. სტერილიზაციის პროცესზე კონტროლი:

ა) თერმული სტერილიზაციის დროს სპეციალურ ჟურნალში აფიქსირებენ (დანართი №5) სტერილიზაციის რეჟიმს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გასასტერილებელი მასალის შეფუთვის და ჩატვირთვის წესების დაცვას. კონტროლისათვის გამოიყენება ქიმიური ინდიკატორები, იმპრეგნირებული ზოლები, რომლებიც ფერს იცვლიან, გრანულები, აბები (ყოველდღიური კონტროლისათვის) და ბიოინდიკატორები ბაქტერიული *Bacillus Stearothermophilus*- პერიოდული კონტროლისათვის;

ბ) მშრალი სტერილიზაციის კონტროლისათვის იყენებენ თითოეული ციკლის პარამეტრების ჩანაწერებს, მექანიკურ ინდიკატორებს და თივის ჩხირის სპორებს.

11. სტერილიზაციის ხარისხის კონტროლი:

ა) მიკროორგანიზმების ზრდის არარსებობა ბიოლოგიური ტესტის ნათესში საკვებ ნიადაგზე;

ბ) ქიმიური ინდიკატორების პირველადი მდგომარეობის შეცვლა ინსტრუქციის შესაბამისად (ფერი, აგრეგატული მდგომარეობა);

გ) მიკროფლორის ზრდის არარსებობა სინჯებში გასტერილებული საგნებიდან.

12. დეზინფექციის ხარისხის კონტროლის მაჩვენებლები:

ა) სადეზინფექციო ხსნარებში დაქვეითებული კონცენტრაციის გამოვლენა სინჯების არა უმეტეს 5%-ში;

ბ) არაპათოგენური მიკროფლორის ამოთესვა საკონტროლო საგნებიდან აღებული ჩამონარეცხების არა უმეტეს 2%-ში (ეპიდჩვენებით ჩატარებული გამოკვლევებისას).

13. მაღალი სისუფთავის მოთხოვნის სპეციალიზებულ სათავსებში ჰაერის გაუსწებოვნება:

ა) საოპერაციოების, ოპერაციის შემდგომ და ინტენსიური თერაპიის პალატების, რეანიმაციის, სამშობიაროს, ქირურგიული სტომატოლოგიის, ასეპტიკური ბლოკების, ცენტრალური სასტერილიზაციოს სტერილური („სუფთა“) ზონის სათავსებში, სისხლის გადასხმის, აგრეთვე კანის დამწვრობით ავადმყოფთა პალატებში მიწოდებული ჰაერი უნდა იწმინდებოდეს ბაქტერიოციდულ ფილტრებში, ხოლო ჰაერისა და სხვადასხვა ზედაპირების დეზინფექციისათვის გამოყენებული იქნეს ბაქტერიოციდული ნათურები, ღია ან ეკრანირებული ნათურებით;

ბ) ბაქტერიოციდული ფილტრი წარმოადგენს სხვადასხვა მოდიფიკაციის ჰაერის სამედიცინო რეცირკულაციურ სტერილიზატორს. ხელსაწყოს დანიშნულებაა შეაკავოს ჰაერში მიკრობული აეროზოლის ყველა კომპონენტი, მტვერი, მავნე ნივთიერებები და სუნი. ფილტრების მუშაობა დასაშვებია პერსონალისა და პაციენტის თანდასწრებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №275/6 - სსმIII, №145, 24.10.2006წ., მუხ.2009

გასუფთავება, დეზინფექცია და სტერილიზაცია

(მეთოდური რეკომენდაციები)

ძირითადი ტერმინების განმარტება:

ა) **დეკონტამინაცია** – დამუშავების ისეთი პროცესი, რომელიც გულისხმობს ინფექციური დაავადებების გამომწვევთაგან ობიექტის გათავისუფლებას, რომლის შემდეგ გამოსაყენებელი საგანი საშიში აღარ არის.

ბ) **გასუფთავება** – ხილული მტვრის, ჭუჭყის, ორგანული მასალის და სხვა მასალის მოცილება. ხორციელდება საპნითა და წყლით, დეტერგენტებითა და ფერმენტული პროდუქტებით (სარეცხი საშუალებებით), მტვერსასრუტის გამოყენებით ყველა ზედაპირებისათვის, რომლებზეც (ან რომლებშიც) ინფექციურმა აგენტებმა (გამომწვევებმა) შეიძლება ხელსაყრელი პირობები ნახონ ცხოველმყოფელობის შენარჩუნების ან გამრავლებისათვის. გასუფთავება ყოველთვის წინ უსწრებს დეზინფექციას ან სტერილიზაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ორგანული მასალით დაბინძურებული სამედიცინო იარაღებისა და ნივთების გასუფთავება (რეცხვა) შეუძლებელია დაუყოვნებლივ გამოყენებისთანავე, ამ შემთხვევაში საჭიროა ჯერ კონკურენტული დეზინფექცია, ხოლო შემდგომ დასუფთავების (რეცხვის) შემდგომი დეზინფექცია ან სტერილიზაცია.

გ) **დეზინფექცია** – უმრავლესი პათოგენური მიკროორგანიზმების (სპოროვანი ბაქტერიების, კოკციდიების და პრიონების გარდა) განადგურება ფიზიკურ ან ქიმიურ აგენტებთან უშუალო ექსპოზიციით. ტერმინი გამოიყენება უსულო საგნების მიმართ. ბიოლოგიურ ქსოვილთა შემთხვევაში იყენებენ ტერმინს „ანტისეპტიკა“.

დ) **სტერილიზაცია** – ყველა ცხოველმყოფელი ფორმის მიკროორგანიზმის განადგურება ბაქტერიების, ვირუსების, სპორების და სოკოების ჩათვლით;

ე) **კონკურენტული (მიმდინარე) დეზინფექცია** – ავადმყოფის სხეულიდან ინფიცირებული გამონაყოფების ან მათით დაბინძურებული საგნების დაუყოვნებელი (რაც შეიძლება სწრაფად) დეზინფექცია. ამ გამონაყოფებთან ყოველგვარი უშუალო კონტაქტის მინიმუმამდე დაყვანა დეზინფექციამდე;

ვ) **საბოლოო (ტერმინალური, დასკვნითი) დეზინფექცია** – დეზინფექცია პაციენტის ჰოსპიტალიზაციის (იზოლაციის) ან გარდაცვალების ან მას შემდეგ, რაც პაციენტი აღარ არის გადამდები – თანამედროვე მიდგომებით არ არის აუცილებელი უმრავლესი ინფექციური დაავადებების დროს, ჩვეულებრივ საკმარისია საბოლოო (ტერმინალური, დასკვნითი) გასუფთავება (დალაგება, გაწმენდა, რეცხვა), განიავებით, გამზუვებით, თუ კონკურენტული დეზინფექცია ჩატარებულია;

ზ) **საბოლოო დეზინფექცია აუცილებელია იმ დაავადებებისას**, რომლებიც არაპირდაპირი კონტაქტით გადაეცემა (გამომწვევების მექანიკური გადატანა პერსონალის ხელებით ან სამედიცინო ინსტრუმენტებით);

თ) **ორთქლით სტერილიზაცია, კამერული დეზინფექცია ან დაწვა (საწოლის და სხვა საგნების) აუცილებელია ისეთი დაავადებების დროს**, როგორც არის მაგალითად ებოლა-მარბურგის და ლასას ჰემორაგიული ცხელება.

კონკურენტული დეზინფექციის და საბოლოო დასუფთავების რეკომენდაციები ზოგიერთი ინფექციური დაავადების შემთხვევაში

დაავადება	მიმდინარე (კონკურენტული) დეზინფექცია უტარდება	საბოლოო დასუფთავება
ქოლერა	ფეკალიები, პირნაღები, თეთრეული და პაციენტის მიერ გამოყენებული ნივთები. დასახლებებში ნარჩენების უტილიზაციის (კანალიზაციის) თანამედროვე და გამართული სისტემით (გამწმენდი ნაგებობა) ფეკალიები შეიძლება ჩაიშვას კანალიზაციაში წინასწარ დეზინფექციის გარეშე.	აუცილებელია
იერსინიოზი	ფეკალიები. დასახლებებში ნარჩენების უტილიზაციის (კანალიზაციის) თანამედროვე და გამართული სისტემით (გამწმენდი ნაგებობა) ფეკალიები შეიძლება ჩაიშვას კანალიზაციაში წინასწარ დეზინფექციის გარეშე.	სასურველია
შიგელოზი	ფეკალიები და კონტამინირებული ნივთები. დასახლებებში ნარჩენების უტილიზაციის (კანალიზაციის) თანამედროვე და გამართული სისტემით (გამწმენდი ნაგებობა) ფეკალიები შეიძლება ჩაიშვას კანალიზაციაში წინასწარ დეზინფექციის გარეშე.	აუცილებელია
ბოტულიზმი	საექვო პროდუქტის ადუღება გადაყრის წინ	არა
ეშერიხიოზები (ენტეროპათო-გენური)	ფეკალური გამონაყოფები და დაბინძურებული ნივთები. დასახლებებში ნარჩენების უტილიზაციის (კანალიზაციის) თანამედროვე და გამართული სისტემით (გამწმენდი ნაგებობა) ფეკალიები შეიძლება ჩაიშვას კანალიზაციაში წინასწარ დეზინფექციის გარეშე.	აუცილებელია
მუცლის ტიფი	ფეკალიები, შარდი, თეთრეული და სხვა ნივთები. დასახლებებში ნარჩენების უტილიზაციის (კანალიზაციის) თანამედროვე და გამართული სისტემით (გამწმენდი ნაგებობა) ფეკალიები შეიძლება ჩაიშვას კანალიზაციაში წინასწარ დეზინფექციის გარეშე.	აუცილებელია
სალმონელოზები	ფეკალიები და მათით დაბინძურებული ნივთები. დასახლებებში ნარჩენების უტილიზაციის (კანალიზაციის) თანამედროვე და გამართული სისტემით (გამწმენდი ნაგებობა) ფეკალიები შეიძლება ჩაიშვას კანალიზაციაში წინასწარ დეზინფექციის გარეშე..	აუცილებელია
კვებითი ტოქსიკოინფექციები	არ არის აუცილებელი	
ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი, ჰეპატიტი B და C	სისხლითა და ორგანიზმის სხვა სითხეებით კონტამინირებული ყველა ნივთის, აგრეთვე ყველა ექსკრეტის და სეკრეტის, ხილულად კონტამინირებულის სისხლით ან ორგანიზმის სხვა სითხეებით. ქლორშემცველი ან ტუბერკულოციდური სადეზინფექციო ხსნარით.	
ჰეპატიტი A და E	ფეკალიების, შარდის და სისხლის სანიტარული (უსაფრთხო) მოშორება.	
დიფთერია	ავადმყოფის გამონაყოფებით დაბინძურებული ნივთების	აუცილებელია
ცოფი	ნერწყვის და ნერწყვით დაბინძურებული ნივთების, თუმცა დოკუმენტალურად არცერთი შემთხვევა პერსონალის დაინფიცირებისა არ რეგისტრირებულა, უნდა გაფრთხილდნენ სახის ნერწყვით ინფიცირების პოტენციური საშიშროებისაგან პაციენტის ხველების დროს.	
პოლიომიელიტი	გამონაყოფი ხაზიდან, ფეკალიები და მათით დაბინძურებული ნივთების. დასახლებებში ნარჩენების უტილიზაციის (კანალიზაციის) თანამედროვე და გამართული სისტემით (გამწმენდი ნაგებობა) ფეკალიები შეიძლება ჩაიშვას კანალიზაციაში წინასწარ დეზინფექციის გარეშე.	აუცილებელია
ტუბერკულოზი	ხელების დაბანა და სახლში დასუფთავება. ჭურჭელთან, თეთრეულთან, ტანსაცმელთან შეხება და ა.შ. არ	საჭიროა

	საჭიროებს სპეციალურ დამცავ ზომებს. ჰაერის დეკონტამინაცია მიიღწევა განიავებით და მზის სხივებით. შეიძლება ულტრაიისფერი სხივებითაც.	
პედიკულოზი	ტანსაცმელი, თეთრეული სხვა შესაძლო გადამცემები (კოსმეტიკური ნივთები) უნდა გაირეცხოს ცხელ წყალში (55 C 20 წთ), ქიმწმენდაში ან დამუშავდეს ქიმიური ინსექტო- და ოვიციდებით.	საჭიროა
ლეპტოსპიროზი	შარდით დაბინძურებული ნივთების	
გრიპი, წითელა, წითურა, ჰერპესი	არ ტარდება	
ლამბლიოზი (ყიარდიაზი)	ფეკალიები და მათით დაბინძურებული ნივთების დასახლებებში ნარჩენების უტილიზაციის (კანალიზაციის) თანამედროვე და გამართული სისტემით (გამწმენდი ნაგებობა) ფეკალიები შეიძლება ჩაიშვას კანალიზაციაში წინასწარ დეზინფექციის გარეშე.	აუცილებელია
ენტერობიოზი	თეთრეულის ყოველდღიური გამოცვლა (ფრთხილად, რათა კვერცხები არ მოხვდნენ ჰაერში) მკურნალობის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში, თეთრეულის გარეცხვა ცხელ წყალში.	
შავი ჭირი	ნახველის და ჩირქოვანი გამონაყოფების და მათით დაბინძურებული საგნების. გვამებთან შეხება ასეპტიკის წესების განსაკუთრებული დაცვით.	აუცილებელია
ჯილეხი	დაზიანებული ქსოვილებიდან გამონაყოფების და მათით დაბინძურებული საგნების. ჰიპოქლორიდებით (არაკოროზიული ნივთებისათვის), წყალბადის ზეჟანგით, ზემმარმჟავათი.	აუცილებელია
ცხელება	ნახველი, სისხლი და მათით ახლად დაბინძურებული ნივთები (0.05% ჰიპოქლორიტები, 5% პეროქსიდი ან 1:1000 ლიზოლის ხსნარი.	
ამებიოზი, ასკარიდოზი	ფეკალიების სანიტარიული (უსაფრთხო) მოშორება	

სტერილიზაციასა და დეზინფექციაში გამოყენებული ახალი მეთოდები და მიდგომები

1. დეზინფექტანტების არჩევა და გამოყენება:

ა. დეზინფექტანტი არის აგენტი, რომელიც ათავისუფლებს ობიექტს ინფექციის გამომწვევისაგან, ქიმიური აგენტი, რომელიც სპობს დაავადების გამომწვევ ან სხვა პათოგენურ მიკროორგანიზმებს, მაგრამ არაა აუცილებელი სპობდეს სპორებს.

ბ. ფაქტორები, რომლებიც დეზინფექცია/სტერილიზაციის ეფექტურობაზე გავლენას ახდენს: ორგანული ნივთიერებებით დაბინძურება, მიკროორგანიზმთა ტიპი და რაოდენობა, დეზინფექტანტის კონცენტრაცია და ექსპოზიციის დრო, ტემპერატურა და შეფარდებითი ტენიანობა.

გ. სამედიცინო ობიექტის დეზინფექციის მეთოდის არჩევისას უნდა გავითვალისწინოთ ობიექტის დანიშნულება.

დანიშნულების მიხედვით სამედიცინო ობიექტები იყოფა სამ ჯგუფად:

1. **კრიტიკული ჯგუფი** – როცა სამედიცინო ინსტრუმენტი შეხებაში მოდის სტერილურ ქსოვილთან, სისხლმარღვთან ან სისხლთან.

ა. მაგალითად: ქირურგიული ინსტრუმენტები და ხელსაწყო-იარაღები

ბ. მეთოდები: სტერილიზაცია (ორთქლი, გაზი, ცხელი ჰაერი), ან ქიმიური მეთოდები (2%-იანი გლუტარალდეჰიდი, 1% ზემმარმჟავა (peracetic acid); 0,08% ზემმარმჟავას პლუს 1% წყალბადის ზეჟანგი, ექსპოზიცია-მწარმოებლის მიერ რეკომენდებული დროით; 7,5% წყალბადის ზეჟანგი – 6 სთ.).

2. **ნახევრადკრიტიკული ჯგუფი** – როცა ინსტრუმენტი შეხებაშია ლორწოვან გარსებთან ან

მთლიანობა დარღვეულ კანთან, მოითხოვს დეზინფექციის მაღალ დონეს.

ა. მაგალითად: რესპირატორული თერაპიის და საანესთეზიო მოწყობილობანი, ენდოსკოპები, ჰიდროთერაპიული აბაზანა, თუ აბაზანა გამოიყენებოდა პაციენტისათვის, რომელსაც კანის მთლიანობა დარღვეული ჰქონდა.

ბ. მეთოდები: ქიმიური, ექსპოზიციის დრო ≥ 20 წუთი 20°C -ზე; $\geq 2\%$ გლუტარალდეჰიდთან, ნატრიუმის ჰიპოქლორიტი – 1000 ppm, წყალბადის ზეჟანგი – 7,5%; 0,08 ზემმარმჟავა და 1% წყალბადის ზეჟანგი.

3. **არაკრიტიკული ჯგუფი** – როცა ინსტრუმენტი შეხებაშია ინტაქტურ კანთან; მოითხოვს დაბალი დონის დეზინფექციას.

ა. მაგალითად: ყავარჯნები, საწოლი, იატაკი და ავეჯი, საწოლის მაგიდები.

ბ. მეთოდები: ქიმიური, ექსპოზიციის დრო ≤ 10 წუთი. ეთილის ან იზოპროპილის სპირტი – 70-დან 90%-მდე, ნატრიუმის ჰიპოქლორიტი – 100 ppm., იოდოფორები, ფენოლის და ამონიუმის პრეპარატები.

სასტერილიზაციოდ და მაღალი დონის დეზინფექციისას გამოყენებული ქიმიური საშუალებების ღირსება და ნაკლი

ყველა ქვემოჩამოთვლილი ეფექტურია ორგანული დაბინძურების არსებობისას, შედარებით ადვილი გამოსაყენებელია და აქვთ ანტიმიკრობული მოქმედების ფართო სპექტრი.

1. **გლუტარალდეჰიდი ($\geq 2\%$)** – ღირსებანი: მრავალგვარი გამოყენება, შედარებითი სიიაფე, კარგად ეთვისება საგნებს. ნაკლი: მისი ორთქლი და სუნი აღიზიანებს სასუნთქ გზებს, მიკობაქტერიებზე შედარებით ნელა მოქმედებს, ახდენს სისხლის კოაგულაციას და ქსოვილების ზედაპირზე ფიქსაციას.

2. **წყალბადის ზეჟანგი: (7,5%)** – ღირსებანი: არ საჭიროებს გააქტივებას, შეუძლია გააძლიეროს მიკროორგანიზმებისა და ორგანული მატერიის ნარჩენების მოცილება, არა აქვს გამაღიზიანებელი სუნი და არ აღიზიანებს ქსოვილებს, კარგად ეთვისება მეტალებსა და პლასტმასს, არ ახდენს სისხლის კოაგულაციას და არ აფიქსირებს ქსოვილებს ზედაპირთან, ახდენს *Cryptosporidium*-ის ინაქტივირებას. ნაკლი: რეაქციაში შედის ისეთ ლითონებთან, როგორცაა სპილენძი, თუთია, ნიკელი და ვერცხლი. თვალზე მოხვედრისას იწვევს სერიოზულ დაზიანებას.

3. **ზემმარმჟავა-Peracetic acid (PAA) 0,8%-იანი პლუს წყალბადის ზეჟანგი 1,0%-იანი** – ღირსებანი: არ საჭიროებს გააქტივებას, სუნი და გამაღიზიანებელი მოქმედება უმნიშვნელო, ნაკლი: ქსოვილებთან შეთვისება (სპილენძის, თუთიის, ტყვიის მიმართ) როგორც კოსმეტიკური, ისე ფუნქციონალური; შეზღუდული კლინიკური გამოყენება.

4. **ორთოფტალალდეჰიდი** – ღირსებანი: სწრაფი მოქმედება, მაღალი დონის დეზინფექტანტი, გააქტივება არ სჭირდება, არა აქვს სუნი, არ ახდენს სისხლის კოაგულირებას და არ ახდენს ქსოვილების ზედაპირზე ფიქსირებას. ნაკლი: ალაქავებს კანს, ტანსაცმელს და გარემოს ობიექტების ზედაპირებს, შეზღუდული კლინიკური გამოყენება.

5 **ზეჟანგური (Superoxidized) წყალი.**

ინფექციის გამომწვევის გადატანა ენდოსკოპიისა და ბრონქოსკოპიის დროს

1. **ენდოსკოპების დეზინფექციის პრინციპები:**

ა. **გასუფთავება** – მექანიკური გასუფთავება-რეცხვა (გარეთა ზედაპირებისა და შიგნითა არხებისიწყლითა და სარეცხი საშუალებებით).

ბ. **დეზინფექცია** – ენდოსკოპის იმერსია (ჩაყურსვა) მაღალი დონის დეზინფექტანტში, მაგალითად 2%-იან გლუტარალდეჰიდში და დეზინფექტანტის შეწოვა შემწოვ/ბიოფსიურ არხში და ჰაერ/წყლის არხში 20 წთ-ს ექსპოზიციით (სხვა დეზინფექტანტისას მწარმოებლის ინსტრუქციის

შესაბამისად).

გ. გამოვლენა – ენდოსკოპის და არხების გავლება სტერილურ წყალში ან ონკანის წყალში სპირტთან ერთად.

დ. გაშრობა – დეზინფექციის შემდეგ, შენახვამდე შიგა არხებისა და ჩასადგმელი მილების გაშრობა ხდება ჰაერის ნაკადით.

ე. შენახვა – დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით უნდა ინახებოდეს ვერტიკალურად დაკიდებულ მდგომარეობაში სპეციალურად გამოყოფილ სუფთა ადგილას.

ვ. ენდოსკოპებზე აღმოჩენილი პათოგენური აგენტები. Helicobacter pylori, E. coli 0157: H7, HCV და Cryptosporidium. თანამედროვე პროცედურები ეფექტურია Cryptosporidium-ის გარდა ყველას მიმართ.

რესპირატორული ხელსაწყოების პასტერიზაცია (საშუალო დონის დეზინფექცია): პასტერიზაცია (75° C 30 წუთი) ახდენს ყველა ორგანიზმის დაღუპვას B. subtilis სპორების გარდა.

კრეცფელდ-იაკობის დაავადების გამომწვევი არის ერთადერთი მიკროორგანიზმი (პრიონი), რომელიც საჭიროებს სრულ მოცილებას (სტერილიზაციას) და მასთან პოტენციურად კონტაქტის მქონე ხელსაწყოები უნდა იქნეს აუცილებლად გასტერილებული.

სისხლის გავლენა დეზინფექტანტების ანტივირუსულ აქტივობაზე: ჰიპოქლორიტები ფინალურ კონცენტრაციებში 5000 ppm (1/10 განზავებით) გამოიყენება სისხლის ნაწილაკებისგან გასუფთავების მიზნით.

ოჯახურ პირობებში მისაღებია დეზინფექცია ქლორის (მათეთრებელი) ან ლიზოლის შემცველი სადეზინფექციო სარეცხი საშუალებებით.

სტერილიზაციის ტექნოლოგია

ა. სტერილიზაცია სამედიცინო დაწესებულებებში – ორთქლით ავტოკლავში 132° C, 2 ატმ. 20 წთ., 120° C, 1,1 ატმ. 45 წთ. (იაფი, სწრაფი, სპოროციდული, არატოქსიური, უსაფრთხო მოქმედების ფართო დიაპაზონით), ეთილენის ოქსიდით (ETO), მშრალი ცხელი ჰაერით, ქიმიური საშუალებებით.

ბ. პაციენტმა შესაძლოა მიიღოს მნიშვნელოვანი დამწვრობები ცხელი სტერილიზებული ინსტრუმენტებისაგან. ეს ინსტრუმენტები ჰაერზე უნდა გაცივდეს ან უნდა იქნეს იმერსირებული (ჩაყურსული) სტერილურ ხსნარში.

დაბალ ტემპერატურაზე სტერილიზაციის ახალი ტექნოლოგია

1. პლაზმით სტერილიზაცია (Sterrad)– პლაზმა შეიცავს აქტიურ ელექტრონებს, იონთა რეაქტიულ ღრუბელს და ნეიტრალურ ატომურ ნაწილაკებს. მატერიის ეს მეოთხე მდგომარეობა იქმნება ძლიერი ელექტრული ან მაგნიტური ველით.

ა. ღირსება: უსაფრთხოა გარემოსა და მედიცინის მუშაკისათვის, არ გამოყოფს ტოქსიურ ნარჩენებს, სწრაფი მეთოდია – არ საჭიროებს აერაციას და მისი ციკლური დრო (cycle time) შეადგენს 75 წთ-ს. მარტივი სამართავია, იმართება (208 v გამოსავალზე).

ბ. ნაკლი: ქაღალდი, თეთრეული და სითხეები ამ მეთოდით არ სტერილდება. სასტერილიზაციო კამერა მცირე ზომისაა, 3,5 ფუტი³ (1 ფუტი=30,48 სმ). ენდოსკოპები და სამედიცინო ხელსაწყოები 40 სმ-ზე მეტი არხის სიგრძით ან 3 მმ-ზე ნაკლები სანათურის დიამეტრით არ სტერილდება ამ მეთოდით.

გ. შენიშვნა: ამ მეთოდით სტერილიზაცია შესაძლებელია მხოლოდ სამედიცინო ხელსაწყოების მთლიანი გასუფთავების (რეცხვის) შემდეგ.

დ. Sterrad 100s და 50 – ახდენენ 2 ციკლის უტილიზებას დიფუზიის სტადიასა და პლაზმურ სტადიაში. Sterrad 100s და 50-ს აქვთ დროის მცირე ციკლი (ე.ი. Sterrad 100 – 73 წუთი, Sterrad 100s – 52წთ. Sterrad 50 – 45წთ).

Sterrad 100ს და 50-ის დანერგვა გაზრდის უსაფრთხოების დიაპაზონს და შეამცირებს პროცესის ღირებულებას ციკლის მცირე დროის ხარჯზე.

ზემმარმჯავით სტერილიზაცია:

ა. ღირსება: სწრაფია (40-45 წთ): მიმდინარეობს დაბალ ტემპერატურაზე (50-55°C), სითხეში იმერსიით სტერილიზება. გამოყოფს უსაფრთხო თანაპროდუქტებს (მმარმჯავა, ჟანგბადი, წყალი), სრულად ავტომატიზებულია, არა აქვს გვერდითი ეფექტები ოპერატორის ჯანმრთელობაზე. მისი გამოყენება შეიძლება მრავალჯვარ ინსტრუმენტებთან.

ბ. ნაკლი: ნივთიერებებთან შეუთავსებლობა (აბლაგვებს ალუმინის ანოდიზირებულ საფარს). გამოიყენება მხოლოდ ისეთი ინსტრუმენტების მიმართ, რომელთა იმერსირებაც შესაძლებელია, ბიოლოგიური ინდიკატორი არ იძლევა მუდმივი მონიტორინგის საშუალებას. ერთ ციკლში შეიძლება მხოლოდ ერთი ენდოსკოპის ან მცირე რაოდენობით ინსტრუმენტების სტერილიზება. ეს მეთოდი გაცილებით ძვირია, ვიდრე მაღალი დონის დეზინფექცია. სტერილიზაცია უნდა გაგრძელდეს მკაცრად განსაზღვრული დროის განმავლობაში, დაუშვებელია დროის გახანგრძლივება

ზოგიერთი ანტისეპტიკური ხსნარი ხელების ან კანის დასამუშავებლად

ქლორჰექსიდინი – (20% ქლორჰექსიდინის ძირითად ხსნარს 0,5%-იანი ვაზავებთ 40-ჯერ 70%-იან სპირტში (1 წილი ქლორჰექსიდინი 39 წილი სპირტი);

იოდ-სპირტიანი ხსნარი – (5 გ კრისტალური იოდი უნდა გაიხსნას 95 მლ 90%-იან სპირტში);

პირტ-გლიცერინიანი ანტისეპტიკი – (70 %-იანი სპირტის 4 წილი ემატება 1 წილ გლიცერინს. ხელების დამუშავების შემდეგ განვითარებული სიმშრალე მიუთითებს გლიცერინის დამატების აუცილებლობაზე);

პოვიდონ-იოდის ხსნარი – იგი წარმოადგენს პოლივინილ-პიროლიდონის კომპლექსს. შეიძლება დაემატოს 0,5 %-იანი ქლორჰექსიდინის ხსნარს.

დანართი №5

სასტერილიზაციო დანადგარების (ან ქიმიური სტერილიზაციის) მუშაობის აღრიცხვის ჟურნალი

სასტერილიზაციო დანადგარის ტიპი ან ქიმიური	№	თარიღი	გასასტერილებელი მასალა		სასტერილიზაციო დანადგარის მუშაობის დრო		ესპოზიციის ციკლის			პასუხისმგებელი ხელმოწერა
			დასახელება	რაოდენობა	ჩართვა	გამორთვა	წნევა	T C გრადუს	დრო	
სტერილიზაციის საშუალება										

**მოთხოვნები ბავშვთა და მოზარდთა აღზრდელით და სასწავლო დაწესებულებებში
სადეზინფექციო ღონისძიებებისადმი**

1. კონტროლს სადეზინფექციო ღონისძიებებზე ბავშვთა და მოზარდთა აღზრდელით და სასწავლო დაწესებულებებში ატარებენ სახელმწიფო სახედამხედველო სამსახურები გეგმიურად, არანაკლებ წელიწადში 2-ჯერ. შემოწმებათა ჯერადობა შეიძლება გაიზარდოს ეპიდემიური გართულების დროს.

პასუხისმგებლობა სადეზინფექციო ღონისძიებათა ორგანიზაციაზე და გატარებაზე ეკისრება ბავშვთა და მოზარდთა აღზრდელით და სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელს.

2. დაწესებულებაში სადეზინფექციო ღონისძიებების შესრულება რიგგარეშე მოწმდება ეპიდევნებით ექიმ ეპიდემიოლოგის ან მისი თანაშემწის მიერ, თუ დაწესებულება მიჩნეულია ინფექციური დაავადების კერად (ეპიდგამოკვლევის დროს).

3. კონტროლი ხორციელდება ვიზუალურად და ლაბორატორიული მეთოდების გამოყენებით. ბაქტერიოლოგიური ანალიზების ჩასატარებლად აიღება ჩამონარეცხის სინჯები (არანაკლებ 0,2 სინჯისა ერთ ადგილზე), გამოყენებული სადეზინფექციო საშუალებების ხარისხის ქიმიური ანალიზებისათვის არანაკლებ 3 სინჯისა, დეზინფექტანტის ნარჩენ რაოდენობაზე – ექსპრეს სინჯებისათვის არანაკლებ 10 სინჯისა.

4. დამაკმაყოფილებლად შეფასდება სადეზინფექციო ღონისძიებების ხარისხი, თუ:

ა) ჩამონარეცხთა ბაქტერიოლოგიურ ანალიზებში არაპათოგენური მიკრობების ზრდას ადგილი ექნება სინჯების არა უმეტეს 3%-ში;

ბ) სადეზინფექციო ხსნარებში აქტიურად მოქმედი ნივთიერებების ნორმაზე ნაკლები კონცენტრაცია აღმოჩნდება ანალიზთა 5%-მდე;

გ) სადეზინფექციო ნივთიერებათა ნარჩენი ნივთიერებები არ აღმოჩნდება ტესტ სინჯების არა უმეტეს 3%-ში.

**მოთხოვნები ეპიდემიოლოგიური და სანიტარიული მნიშვნელობის მქონე
ფეხსახსრიანებისა და მღრღნელების წინააღმდეგ ბრძოლის და მათ რიცხოვნობაზე
ზედამხედველობის ორგანიზაციისა და კონტროლის მიმართ**

1. ეპიდემიოლოგიური და სანიტარიული მნიშვნელობის მქონე მღრღნელებისა და ფეხსახსრიანების წინააღმდეგ ბრძოლა მოიცავს როგორც სანიტარიულ-პროფილაქტიკურ, ასევე გამანადგურებელ ღონისძიებებს. სანიტარიულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ატარებენ საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოსახლეობა სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის კონტროლით. გადამტანებთან ბრძოლას ატარებენ ობიექტებთან ხელშეკრულების საფუძველზე სადეზინფექციო საქმიანობის ლიცენზიის მქონე სუბიექტები.

2. სადეზინფექციო საქმიანობის ლიცენზიის მქონე სუბიექტები:

ა) შეისწავლიან ეპიდემიოლოგიური და სანიტარიულ-ჰიგიენური მნიშვნელობის მქონე სინანტროპული მღრღნელებისა და ფეხსახსრიანების არსებობას ობიექტებზე და განსაზღვრავენ მიზეზებს, რომლებიც ხელს უწყობენ მათ ჩასახლებასა და გამრავლებას (ინვენტირებას) ობიექტზე;

ბ) ხელშეკრულებით, ერთჯერადი განაცხადით და ეპიდემიოლოგიური ჩვენებით ორგანიზაციას უკეთებენ და ატარებენ ობიექტების სანაციას ეპიდემიოლოგიური და სანიტარიული მნიშვნელობის მქონე მღრღნელებისა და ფეხსახსრიანებისაგან.

3. სამედიცინო დეზინსექცია მომსახურების ობიექტებზე ტარდება რწყილების, ტკიპების,

სინანტროპული ბუზების, ტარაკანების, ბაღლინჯოების, კოლოების, ტილების, სახლის წითური ჭიანჭველების მიმართ და სხვა მავნე მწერების წინააღმდეგ.

4. სადერატიზაციო ღონისძიებანი დასახლებულ პუნქტებში პირველ რიგში მიმართულია რუხი და შავი ვირთაგვას და სახლის თაგვის წინააღმდეგ. დაკვირვება მათ ტერიტორიულ განსახლებაზე წარმოებს დასახლებული პუნქტის მთელ ტერიტორიაზე და საზედამხედველო ობიექტებზე განაშენიანების გარეშე დარჩენილი ფართობის ჩათვლით.

5. დერატიზაციისა და დეზინსექციის ობიექტებად ითვლება ყოველი ცალკე მდგომი ნაგებობა ან მისი ნაწილი, რომელსაც აქვს ერთიანი მიზნობრივი დანიშნულება და სამეურნეო კუთვნილება.

6. ობიექტების სანაციის ვადები დამოკიდებულია:

– კონკრეტული სახის მღრღნელისა და ფეხსახსრიანის ბიოლოგიურ თვისებურებაზე (წითური ტარაკანი – 100 დღე, შავი ტარაკანი – 180, ბუზი – 7 დღე, სახლის ჭიანჭველა – 6 დღე, ბაღლინჯო – 12 დღე, რწყილი – 15 დღე, მღრღნელი – 3 თვე);

– დასახლებული პუნქტის სანიტარიულ მოვლასა და ობიექტების სანტექნიკურ მდგომარეობაზე, ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების და მოსახლეობის მიერ სანიტარიული ნორმების და წესების დაცვაზე, სანიტარიულ ზედამხედველობის დაწესებულებების მუშაკთა მიერ მიცემული წინადადებების სრულად და დროულად შესრულებაზე;

– გამოყენებული სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებათა ეფექტურობაზე.

7. იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება უშუალო საშიშროება მღრღნელებით და ფეხსახსრიანებით ინფექციური დაავადებების გავრცელებისა, გამანადგურებელი სამუშაოები შესრულდება საგანგებო სიტუაციებისათვის გამოყოფილი სახსრებით მთავრობის სათანადო განკარგულებით.

8. დეზინსექციის ხარისხის მაჩვენებლები:

ა) სინანტროპული ბუზების მიმართ დამაკმაყოფილებელი სეზონური მაჩვენებელია:

– ქალაქებში – 1 ცალი შენობაში;

– სოფლად – 5 შენობის გარეთ;

– დასახლებულ ადგილებში უპირატესად ინდივიდუალური განაშენიანებით;

შენობებში – 5, შენობის გარეთ – 10;

– გადანაყრებში 5 მატლამდე აღრიცხვის ერთეულზე და ჭუპრების არარსებობა, აგრეთვე ზამთრის ნაჩეკის არარსებობა.

ამ მონაცემების მიღწევის შემდეგ დამუშავება ინსექტიციდებით აღარ ტარდება.

ბ) კოლოების მიმართ დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელია:

სარდაფის კოლოები:

– დაფრთიანებული კოლოს ერთი ეგზემპლარი საშუალოდ 1კვ. მ. სააღრიცხვო ფართზე;

კოლოები ღია სტაციებში:

– წინა მხარზე დაფრთიანებული კოლოს 2-ზე ნაკლები ეგზემპლარის არსებობა 20 წუთის განმავლობაში;

მალარიული კოლო:

– დამუშავების აუცილებლობის კრიტერიუმია – მოზრდილი ასაკის ერთეული მატლების არსებობა;

– სადეზინსექციო ღონისძიებათა ეფექტურობის შეფასება – კოლოთა საერთო რაოდენობის 95% და მალარიული კოლოს სრულიად დაღუპვა.

გ) ტილები:

– დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელია მწერთა და მათი წილების არარსებობა დამუშავებიდან 7 დღის შემდეგ, რაც განმეორებით კონტროლით დადასტურდება.

დ) სინანტროპული ტარაკანები:

– მწერთ ობიექტის ფართის 15% დასახლება მოითხოვს ერთჯერად სადეზინსექციო დამუშავებას

ეფექტიანობის შემდგომი კონტროლით და საჭიროების შემთხვევაში დამუშავების განმეორებით;
 – მწერით ობიექტის ფართის 15% მეტით დასახლება მოითხოვს ყოველთვიურ სადებინსექციო დამუშავებას მოქმედი მეთოდური მითითებების შესაბამისად.

ლონისძიებათა ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმები: მწერების არარსებობა დამუშავებიდან 3 თვის განმავლობაში, რაც დასტურდება ობიექტური ყოველთვიური კონტროლით (პირობით გათავისუფლებული მწერებისაგან ობიექტი).

ტარაკნებით დასახლებული ფართი განისაზღვრება ყოველკვარტალურად და საშუალოდ წლიურად.

9. დერატიზაციის ხარისხის მაჩვენებელი განისაზღვრება ყოველთვიურად:

- მღრღნელებით დასახლებული ობიექტების წილით;
- მღრღნელებით დასახლებული ფართობის წილით ხელშეკრულებით მომსახურე ფართობიდან;
- მღრღნელებით დაკვალიანებული მოედნების წილით დათვალიერებული მოედნებიდან (შეფასება წარმოებს წელიწადში 2-ჯერ);
- მღრღნელთა გამოჭერის წილით მღრღნელებით დასახლებულ 1000 კვ.მ. შენობებში და 100 ჭერა დღეზე.

10. მღრღნელთა გასანადგურებლად ჩატარებული მუშაობა ითვლება არადაამაკმაყოფილებლად, თუ შენობაში (ნაგებობაში), რომელიც განცხადებულია როგორც მღრღნელებისაგან თავისუფალი, არის მათი ცხოველმოქმედების ახალი ნიშნები.

11. სადებინსექციო და სადერატიზაციო საშუალებათა საჭირო რაოდენობის გათვლას აწარმოებს ყოველი სადებინსექციო დაწესებულება დასახლებული ფართის ბოლო ორი წლის საშუალო მონაცემის, მომსახურებაზე აყვანილი ახალი ობიექტების ფართის, ერთჯერად დამუშავებაზე შემოსული განაცხადების და კონკრეტული პრეპარატის ხარჯვის ნორმების გათვალისწინებით.

დანართი №8

პროფილაქტიკური სადებინსექციო სამუშაოების ნომენკლატურა და ზომის ერთეულები

(განკუთვნილია სადებინსექციო პროფილაქტიკური სამუშაოების დაგეგმვისა და აღრიცხვისათვის)

სამუშაოების დასახლება	ზომის ერთეული
1	2
1. დებინსექცია:	
1.1. შენობის დებინსექცია;	იატაკის კვ. მეტრი.
1.2. არაკანალიზებული საპირფარეშოების დებინსექცია;	ცალი (1-2 თვალი).
1.3. შახტების ჭებისა და მათში წყლების დებინსექცია;	ცალი.
1.4. შენობებში, ვაგონებსა და გემებზე სასმელი წყლის ჭურჭლის და წყალმომარაგებათა ავზების დებინსექცია;	კუბ. მეტრი.
1.5. საცავებში წყლის დებინსექცია;	კუბ. მეტრი.
1.6. მეორადი ნედლეულის ფუთების გარე ზედაპირების დებინსექცია;	ფუთა.
1.7. საპარსი ფუნჯების დებინსექცია.	ცალი.
2. დებინსექცია:	
2.1. შენობებში სარკინიგზო და წყლის ტრანსპორტის ობიექტებზე ბრძოლა ბუზებისა და კოლოების წინააღმდეგ;	იატაკის კვ. მეტრი.
2.2. ბრძოლა ბუზების წინააღმდეგ მათი გამოჩეკის ადგილებში;	ობიექტი (სანაგვე ყუთი, საპირფარეშო, საჭუჭ. ორმოები და ა.შ.).
2.3. ბრძოლა კოლოების მატლებთან;	ჰექტარი
2.4. ბრძოლა რწყილებთან, ტკიპებთან (შენობებში), ბაღლინ-ობებთან, ტარაკანებთან, სახლის წითურ ჭიანჭველებთან შენობ-ბუზსა და	იატაკის კვ. მეტრი.

სარკინიგზო და წყლის ტრანსპორტის ობიექტებზე;	
2.5. ცალკეული ბინების დეზინსექცია;	1 ბინა 30 მ ² -მდე.
2.6. ნივთების კამერული დამუშავება;	კილოგრამი.
2.7. ხალხის სანიტარიული დამუშავება და მათი პირადი ტანსაცმლისა და ნივთების კამერული დამუშავება;	კაცი.
3. დერატიზაცია:	
3.1. დერატიზაცია შენობებში;	
3.1.1. მთლიანი სისტემატური;	იატაკის კვ. მეტრი.
3.1.2. არამთლიანი სისტემატური;	იატაკის კვ. მეტრი.
3.1.3. ცალკეული ბინების;	1 ბინა 30 მ ² -მდე.
3.1.4. ინდივიდუალური ბინათმფლობელობა;	100მ ² -მდე.
3.2. დერატიზაცია გემებსა და რკინიგზის ვაგონებზე;	იატაკის კვ. მეტრი.
3.3. დერატიზაცია შენობის გარეთ;	
3.3.1. შენობების მიმდებარე ტერიტორიებზე;	კვ. მეტრი.
3.3.2. ბაღებში, ნაგავსაყრელებზე, ხეებში, სასაფლაოებზე, ტყეპარკების ზონაში, გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ტერიტორიებზე;	ჰექტარი.
3.3.3. ქვანახშირის შახტებში, გვირაბებში, კანალიზაციებში და სხვა ადამიანისათვის მისაწვდომ მიწისქვეშა კომუნიკაციებში;	გრძობივი მეტრი.
3.3.4. კანალიზაციისა და სხვა ადამიანისათვის გაუვალ მიწისქვეშა კომუნიკაციებში.	ჩასახედი ჭები.
4. საზღვაო გემების და სარკინიგზო ვაგონების დეზინსექცია და დერატიზაცია გაზის გამოყენებით.	კუბ. მეტრი.

სადეზინფექციო, სადერატიზაციო და სადეზინსექციო საშუალებათა ნუსხა

№	დასახელება	გამომცემი სახელმწიფო	მწარმოებელი
ა) სადეზინფექციო საშუალებები			
1	ალექსინ-2	საქართველო	შ.პ.ს „ეკოპოლის ზ.ი.უ.ს“
2	ალექსინ-1	საქართველო	შ.პ.ს „ეკოპოლის ზ.ი.უ.ს“
3	ვანდეა-M ჟ „სტელა“	საქართველო	„ავდო“ (ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი)
4	ვიზაციდი	საქართველო	დკივ
5	ნარგოსეპტი	საქართველო	შ.პ.ს „გარეჯი“
6	რივოსანი T-50	საქართველო	„აქვა-ექო“
7	ქლორამინი	რუსეთი	„კათროლაქტამი“ ქ.დერჟინსკი
8	ქლორიანი კირი	რუსეთი	„ქიმპრომი“ ქ. ვოლგოგრადი
9	წყალბადის ზეჟანგი	რუსეთი	„სინთეზი“ ქ.დერჟინსკი
10	ბიომოი	უკრაინა	UR erhpjdtngjhvcfb, BDT „afhvrc“ ს\ Rbtd
11	დეზაქტინი	უკრაინა	ooo „NYNTRC“ ს\ Rbtd
12	ოდოქსონი	უკრაინა	ooo „LTKFYF“ ს\ Rbtd
13	სტერილიუმი	გერმანია	„ბოდე“ – „ისტ ენდ ვესტ“
14	იოდობაკი	გერმანია	„ბოდე“ – „ისტ ენდ ვესტ“
15	სოკრენა	გერმანია	„ბოდე“ – „ისტ ენდ ვესტ“
16	ბაცილოლ აფ (ენდ-დეუ)	გერმანია	„ბოდე“ – „ისტ ენდ ვესტ“
17	ბოდედექს ფორტე	გერმანია	„ბოდე“ – „ისტ ენდ ვესტ“
18	კორსოლექს ბეიზიკი პლუსი	გერმანია	„ბოდე“ – „ისტ ენდ ვესტ“
19	სოლფაკი	გერმანია	„ბოდე“ – „ისტ ენდ ვესტ“
20	დისმოფიქს (K, F, B, W, C)	გერმანია	„ბოდე“ – „ისტ ენდ ვესტ“
21	მიკრობაკ ექსტრა ფორტე	გერმანია	„ბოდე“ – „ისტ ენდ ვესტ“
22	ლიზოფორმ-3000	გერმანია	„ლიზოფორმ ჰანს როეზმანი“

23	აეროდუზინ-2000	გერმანია	„ლიზოფორმ ჰანს როეზმანი“
24	ჰოსპისეპტი	გერმანია	„ლიზოფორმ ჰანს როეზმანი“
25	ჰოსპიდერმინი	გერმანია	„ლიზოფორმ ჰანს როეზმანი“
26	აჰდ-2000	გერმანია	„ლიზოფორმ ჰანს როეზმანი“
27	კუტასეპტი ეფ, ჯი	გერმანია	„ბოდე“ – „ისტ ენდ ვესტ“
28	პერფორმი	გერმანია	„შულკე და მაიერი“ გ.მ.ბ.ნ
29	ოქტენიმანი	გერმანია	„შულკე და მაიერი“ გ.მ.ბ.ნ
30	გიგასეპტი ფფ	გერმანია	„შულკე და მაიერი“ გ.მ.ბ.ნ
31	ლიზეტოლი აფ	გერმანია	„შულკე და მაიერი“ გ.მ.ბ.ნ
32	ოქტენისეპტი	გერმანია	„შულკე და მაიერი“ გ.მ.ბ.ნ
33	სარგოსეპტი	გერმანია	„შულკე და მაიერი“ გ.მ.ბ.ნ
34	ქლორინა. ვაზა- ნაზი.	გერმანია	„ლიზოფორმ ჰანს როეზმანი“
35	ლიზოფორმინი სპეციალი	გერმანია	„ლიზოფორმ ჰანს როეზმანი“
36	დივოზან ფორტე	უკრაინა	ფირმა-დეზო. ქ. ბორისლოვი.
37	სეპტოდორი	ისრაელი	„დორვერთ ლიმიტედი“
38	სეპტოდორ ფორტე	ისრაელი	„დორვერთ ლიმიტედი“
39	ჯაფა	საქართველო	შპს „ცენტრი“
40	ალამინოლი	რუსეთი	კომპანია „ნიოპიკი“
41	ბიანოლი	რუსეთი	კომპანია „ნიოპიკი“
42	მაქსიდეზი	რუსეთი	კომპანია „ნიოპიკი“
43	ადეს-521	რუსეთი	კომპანია „ნიოპიკი“
44	სეკუსეპტ პულვერი	გერმანია	კომპანია „ეკოლაბი“
45	სეკუსეპტ პულვერ+აქტივატორი	გერმანია	კომპანია „ეკოლაბი“
46	სეკუსეპტ აქტივი	გერმანია	კომპანია „ეკოლაბი“
47	ინციდინ ექსტრა ენი	გერმანია	კომპანია „ეკოლაბი“
48	ინციდინ ლიქვინი	გერმანია	კომპანია „ეკოლაბი“
49	სპიტადერმი	გერმანია	კომპანია „ეკოლაბი“
